ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის მარტის 1

№ 4.

განყოფილება პირველი

ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 40. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებისა და საწყობების მოვალეობის შესახებ—იქონიონ აბრა და თვალსაჩინო ადგილას გამოჰკიდონ ხოლმე პატენტი.

„ 41. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების გაძლიერების შესახებ რკინისგზის ლიანდაგზე მოძრაობის უშიშროებისა და სარკინისგზო ქონების დაცვისათვის არსებული წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

„ 42. ა/კ. კომუნისტური უნივერსიტეტის კოოპერატიულ კურსების ექსკურსანტებისათვის შეღავათიანი ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 43. სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის საშეღავათო ტარიფის გაუქმების შესახებ.

„ 44. ნედლი სპირტის რექტიფიკაციის უკიდურესი ფასების შესახებ 1926-27 წლისათვის.

„ 45. საგადასახადო შეღავათების შესახებ იმ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის, ორგანიზაციათა და პირთათვის, რომელნიც საცხოვრებელ სადგომებს აგებენ.

„ 46. „წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაციის თაობაზე“ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

40. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებისა და საწყობების მოვალეობის შესახებ—იქონიონ აბრა და თვალსაჩინო ადგილას გამოჰკიდონ ხოლმე პატენტი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. პრ. № 91.

22/III – 27 შეკ. № 717/5092. მთავარლიტი № 530. დაიბეჭდა 1000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ყოველ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებას და აგრეთვე ყოველ საწყობს უნდა ჰქონდეს აბრა, „რაზედაც აღნიშნულ უნდა იყოს დაწესებულებისა თუ საწყობის ხასიათი და მფლობელის სახელი ან ფირმის სახელწოდება.

2. უკეთუ ამა თუ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებას ან საწყობს აბრა (მუხ. 1) არ ექნება, საწარმოს მფლობელს გადაეხდება ფულადი გადასახადელი არა უმეტეს ათი მანეთისა.

3. უკეთუ დაწესებულებასა და საწყობში თვალსაჩინო ადგილას გამოკიდულ არ იქნა სამრეწველო პატენტი, ხოლო, უკეთუ იმ პირს, ვინც მოძრავ და გადასატან-გადმოსატან ვაჭრობას და პირად სარეწავს ეწევა, თან არ ექნება სამრეწველო პატენტი (კან. კრ. 1926 წ. 63 №-რი, მუხ. 474—სახელ. სარეწავი გადასახადის დებ., მუხ. 51), გადაეხდება ფულადი გადასახდელი არა უმეტეს ოცდახუთი მანეთისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. თებერვლის 14. ტფილისი სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1406 №-ში 1927 წ. თებერვლის 17-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

41. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების გაძლიერების შესახებ რკინისგზის ლიანდაგზე მოძრაობის უშიშროებისა და სარკინისგზო ქონების დაცვისათვის არსებული წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

რადგანაც ხშირია ის შემთხვევები, რომ რკინის გზების ახლო მდებარე რაიონების მცხოვრებნი არღვევენ ხოლმე რკინის გზებზე წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის არსებულ სავალდებულო დადგენილებებს, ხოლო ამ დარღვევათა ზოგიერთმა კატეგორიამ მასიური ხასიათი მიიღო (ტელეგრაფის მავთულების გატაცება, იზოლიატორების დამტვრევა, რელსებიდან ჭანჭიკების მოხსნა, ტაბიკების გატაცება და საჭირნლის ძოვება განთვისების ხოლში), რაც უშუალო საფრთხეს უმზადებს ტრანსპორტის წესიერ მუშაობასა და მის ქონებას,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წინადადება მისცენ:

ა) ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს (საუბნო, სარაიონო და სათემო)—რაც შეიძლება ფართო დახმარება გაუწიონ რკინის გზის ადმინისტრაციას გზებზე წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაში დამნაშავე პირთა გამოაშკარავებისა და მოძებნის და აგრეთვე ამ წესით დადებული ჯარიმის გადახდევინების საქმეში;

ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გასცენ ცირკულიარული განკარგულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სახელზე, რათა მათ გააძლიერონ საამისო მოქმედება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა;

გ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს, რათა მათ მიიღონ, კუთვნილებისამებრ, სათანადო ღონისძიება მილიციის ორგანოების მოქმედების გაძლიერებისათვის რკინის გზებზე წესიერებისა და უშიშროების დასაცავად გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაში დამნაშავე პირთა გამოშკარავებისა და მოძებნისა და ამ დარღვევისათვის დადებული ჯარიმის გადახდენების სფეროში; აგრეთვე ღონისძიება მიიღონ, რათა სასამართლო დაწესებულებებში სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ განხილულ იქნეს საქმეები ზემოაღნიშნულ დარღვევათა შესახებ, როდესაც ასეთი დარღვევა სისხლის სამართლის წესით უნდა იქნეს დასჯილი, და საქმეები სარკინისგზო ქონების გაფუჭებისა და განადგურების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავეროვი.**

1927 წ. თებერვლის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1406 №-ში 1927 წ. თებერვლის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება აკ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ თებერვლის 14. № 5/P.

42. „26"-ს სახელობის ამერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებული კოოპერატიული კურსების ექსკურსანტების წასასვლელად ბაქოს ბაზრობაზე შელავათიანი ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფი № 63.

დაწესებულ იქნეს შელავათიანი ადგილობრივი ტარიფი, მომქმედ საერთო (ნორმალური) ტარიფიდან 50%-ს მოკლებით, „26" სახელობის ამერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებული კოოპერატიული კურსების ექსკურსიის ბაქოს ბაზარზე წასასვლელად ტფილისის სადგურიდან ბაქოს სადგურამდე და წინაუკმოდ, მაგარი ვიგონით, არა უმეტეს 61 კაცისა.

ტარიფი ესე შემოღებულია ვადით ა/წ. თებერვლის 20-დან მარტის 20-დე და შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთუ აუცილებლად წარდგენილ იქნება გაგზავნის სადგურზე (ტფილისი და ბაქო) ა/კ. კომ. უნივერსიტეტის მიერ შედგენილი ექსკურსანტების სია, სათანადო ხელმოწერითა და ა/კ. კ. უ. ბეჭდით, თანაც საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველობის მიერ დასმული ვიზით.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყ. სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ასლანოვი.**
საუწყ. სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის
მაგიერ ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1406 №-ში 1927 წ. თებერვლის 17.

დადგენილება № 6 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

43. სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის საშელავათო ტარიფის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის საშელავათო ტარიფის დაწესების შესახებ—1926 წ. თებერვლის 11-ს თარღითა და მე-2 №-რით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-რი, მუხ. 589) და—სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის საშელავათო ტარიფის შეფარდების წესის შესახებ—1926 წ აპრილის 15-ს თარიღითა და მე-11 №-რით გამოცემული დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 639) გასაუქმებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზემოაღნიშნული დადგენილებები ძალადაკარგულ დადგენილებებად ჩაითვალოს 1927 წ. იანვრის 1-დან.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ვადიდან ა/კსფსრ სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეეფარდოს სოციალური დაზღვევის გადასახადის ნორმალური ტარიფი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. თებერვლის 10. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1408 №-ში 1927 წ. თებერვლის 19.

დადგენილება № 7 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

44. ნედლი სპირტის რექტიფიკაციის 1926-27 წლის უკიდურესი ფასების სისწორით შეფარდებისათვის მეთვალყურეობის გაწევის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 28-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 431) მე-2 მუხ „ბ" პუნ. განსახორციელებლად—ა/კსფსრ შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ—ნედლი სპირტის რექტიფიკაციისათვის 1926-27 წ. უკიდურესი ფასების დაწესების შესახებ—1927 წლის იანვრის 11-ს თარღითა და 1/116 №-რით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 9) სათანადო აღსრულებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაეალონ ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების სათანადო ორგანოებს, რათა მათ თვალყური ადევნონ ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული—1927 წლის იანვრის 11-ს — დადგენილების სისწორით შესრულებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს სექმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი**

1927 წ. თებერვლის 10. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1408 №-ში 1927 წ. თებერვლის 19 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

45. იმ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა საგადასახადო შეღავათების შესახებ, რომელნიც საცხოვრებელ სადგომებს აგებენ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საცხოვრებელი სადგომების ამგებ სახელმწიფო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და პირთა საგადასახადო შეღავათების შესახებ—1927 წ. იანვრის 14-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აგვისტოს 9-ს დამტკიცებული ა/კ სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) 30 მუხლს დაემატოს ლტერა „ვ¹-ს“ და მე-3, 4, 5 და 6 შენიშვნები შემდეგი შინაარსისა:

„ვ¹-“. ის საცხოვრებელი შენობა, რაც აგებულია საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობის მიერ (ბუშათა და საერთო-სამოქალაქო) მის განკარგულებაში უვადო სარგებლობისათვის გადაცემულ მიწაზე—სამი წლის განმავლობაში აგების დღიდან.“

„შეიშვნა 3. სამი წლის გასვლის შემდეგ დღიდან შენობის (ამა მუხლის „ვ¹-“ პუნ.) აგებისა ან აღდგენისა, შენობის გადასახადი იმ საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობას, რომელსაც საცხოვრებელი შენობა აუგია მის განკარგულებაში უვადო სარგებლობისათვის გადაცემულ მიწაზე, გადაჰხდება ოცდაათი წლის განმავლობაში არა უმეტეს ხვედრი შენაწერის 50%-სა, უკეთუ აგებული თუ აღდგენილი სახლის საცხოვრებელი სივრცე მთელი შენობის სივრცის 75%-ზე ნაკლები არ არის“.

„შენიშვნა 4. ის საცხოვრებელი შენობა, რაც აგებულია სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს მიერ მისთვის დამტკიცებულ მიწაზე, განთავისუფლდება შენობის გადასახადისაგან სამი წლის განმავლობაში შენობის აგების დღიდან, ხოლო, სამის წლის გასვლის შემდეგ, ეს გადასახადი ოცდაათი წლის განმავლობაში გადახდევნებულ იქნება არა უმეტეს ხვედრი შენაწერის 50%-ს რაოდენობით, უკეთუ აგებული თუ აღდგენილი სახლის საცხოვრებელი სივრცე მთელი შენობის სივრცის 75%-ზე ნაკლები არ არის“.

„შენიშვნა 5. ამა მუხლში აღნიშნულ შეღავათების მიცემისათვის საცხოვრებელ სივრცეში შეიტანება სამზარეულო, დერეფანი, საბანაო ოთახი, საპირფარეშო და სხვა ასეთი საერთო სარგებლობის სადგომი“.

„შენიშვნა 6. ამა მუხლში აღნიშნული შეღავათები შენობის გადასახადისა გავრცელება აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როდესაც უკვე დაწყებუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შენობა [illegible]ავრებულ იქნება [illegible] დაუთმავრებელი თუ დაქცეული შენობა აღდგ[illegible] იქნება საცხოვრებ[illegible] გამოყენების მიზნით, უკეთუ აღდგენისა ან [illegible] [illegible] [illegible] ნობა მთელი შენობის ღირებულების 30%-ზ[illegible] [illegible]ებელი არ არის".

2. ა/კსსრ [illegible] [illegible] [illegible]